„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველათ“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი ● №13-14 (9485-86) ● 1-31 ივლისი ● ფასი 1 ლარი

ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა გიორგი გახარიამ აბიტურიენტებს მიმართა

წარმატებას გისურვებთ ახალგაზრდებო!

თქვენს ცხოვრებაში ეს არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ახალი ეტაპი, როდესაც საკუთარ მომავალს განსაზღვრავთ.

დარწმუნებული ვარ, ამ გამოწვევას წარმატებით გაართმევთ თავს და შეძენილ ცოდნას საუკეთესოდ გამოამჟღავნებთ.

თქვენ ხართ ჩვენი მომავალი და თქვენი განათლება საქართველოს წინსვლის გარანტიაა.

სასიხარულო და საამაყო ფაქტები

,,მასწავლებელთა ეროვნული ჯილდო 2020"-ის საუკეთესო ათეულის წევრი, სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი, ისტორიკოსი ნათია დავითაია გახდა, რაც თითოეული სენაკელისთვის სასიხარულო და საამაყო ფაქტია.

მინდა, ეს დიდი გამარჯვება, მივულოცო სკოლას, რომელიც ხშირად გვანებივრებს რესპუბლიკური და საერთაშორისო დონის კონკურსებში მიღწეული წარმატებებით და რომლის პედაგოგიც, ამ კონკურსის ისტორიაში, უკვე მეორედ გახდა საუკეთესო ათეულის წევრი.

განსაკუთრებული სიხარულით ვულოცავ ქალბატონ ნათიას, სკოლის გამორჩეულ ნოვატორ პედაგოგს, ამ დიდ წარმატებას.

ვუსურვებ მას შემდგომ გამარჯვებებს.

* * *

დიდი სიხარულითა და სიამაყით ვულოცავ სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის გამორჩეულ პედაგოგს, ტოლია (უტა) კილასონიას, კიდევ ერთ დიდ წარმატებას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევებისთვის, მენტორი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას.

წლების მანძილზე, ახალგაზრდა პედაგოგმა, მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, მაღალი პროფესიონალიზმითა და ინოვაციური მიდგომებით, საუკეთესო შედეგებს მიაღწია. მისი ხელმძღვანელობით, სკოლამ მრავალგზის მოიპოვა წარმატება პრესტიჟულ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, მას, მასწავლებელთა პროფესიული ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით, ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკეთესო მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

ეს არის სკოლის, მშობლიური სენაკის, ქვეყნის წარმატება მომავალი თაობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების შეთვისების, მეცნიერული და ინოვაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საქმეში.

ღირსეულ პედაგოგს, გულითადად ვუსურვებ შემდგომ მიღწევებსა და გამარჯვებებს.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის მერიაში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ვიზიტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ალექსანდრე მოწერელიასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ლევან კუპრეიშვილთან, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ილია თამარაშვილთან, მერის პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახლადგაშენებული მოცვის ბაღი დაათვალიერა.

ლევან დავითაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს შეხვდა, რომელთაც, ნოქალაქევის ადინისტრაციულ ერთეულში, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, 10 ჰექტარზე ლურჯი მოცვის ბაღი გააშენეს.

პროგრამის ,,დანერგე მომავალი" ფარგლებში, კომპანია ,,ინტერაგრომ", ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის, სახელმწიფოსგან - 230 000 ლარის დაფინანსება მიიღო.

შპს ,,ინტერაგრო" - შეღავათიანი აგროკრედიტის ბენეფიციარიცაა. კომპანიამ, პროგრამის ფარგლებში, ბაღის გაშენებისთვის, 500 000 ლარის აგროკრედიტი მიიღო, 200 000 ლარი - ბენეფიციარის ინვესტიციაა.

ამ ეტაპზე, საქართველოში, ლურჯი მოცვის ბაღი 700 ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაშენებული.

მიმდინარე წელს, ქვეყნიდან, დაახლოებით, 700 ტონამდე ლურჯი მოცვია ექსპორტირებული

შეხვედრა DMO-ს წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ხელმძღვანელს, ლევან წულაიასა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს - მარიკა თოდუასა და ედიშერ ბაღათურიას შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს შეეხო, განისაზღვრა ის პრიორიტეტები, რაც ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს სენაკის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას.

ამ ეტაპზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის კუთხით, დასრულების ფაზაშია ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ტეხურის ხიდთან და ,,დედამოკას" თერმულ წყლებთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, შემეცნებით-გასართობი ატრაქციის ,,თოკების პარკის" მიმდებარე ტერიტორიაზე, აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ტურისტული ობიექტების რეაბილიტაციის პროცესი ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება, რაც მნიშვნელოვანი სეგმენტია ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

სასწრაფო დახმარების ცენტრის ახალი შენობა გაიხსნა

სენაკს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა შეემატა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კამპანიის „ერთი თვე სამინისტროსთან ერთად" ფარგლებში, ეკატერინე ტიკარაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან, ალექსანდრე მოწერელიასთან, გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორთან, ავთანდილ თალაკვაძესთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, სასწრაფო დახმარების ახალი შენობა გახსნა. მინისტრმა, გადაუდებელი დახმარების ცენტრის ექიმებს, გაწეული სამსახურისთვის, მადლობა გადაუხადა და პირადად გააცნო ის სიახლეები, რაც 1 ივლისიდან განხორციელდება.

კერძოდ, პირველი ივლისიდან, სასწრაფო დახმარების ცენტრის პერსონალსა და სოფლის ექიმებს ხელფასი 100 ლარით გაეზრდებათ.

70 წლის და უფრო მაღალი ასაკის პირთა პენსია 30 ლარით გაიზრდება.

ასევე, 30 ლარით ეზრდებათ სოციალური პაკეტი პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ბავშვებს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ აღნიშნა, რომ რეგიონებში, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 22 ახალი ადმინისტრაციული შენობა უკვე გაიხსნა, მათ შორის, სენაკის, მარტვილისა და ხობის მუნიციპალიტეტებს სასწრაფო დახმარების ახალი შენობები შეემატათ. ამ ეტაპზე, კიდევ 31 ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ დრომდე, სენაკის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პერსონალი ძველ შენობაში იყო განთავსებული, სადაც თანამშრომლებისთვის შესაბამისი სამუშაო პირობები არ არსებობდა.

დღეიდან კი, სამედიცინო პერსონალისთვის გათვალისწინებული კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახებით, სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტებისთვის განკუთვნილი სათავსოებით, სველი წერტილებით, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სამედიცინო დახმარების ცენტრში ყველა სათანადო პირობაა შექმნილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობისა და აქ დასაქმებული კადრების სრულფასოვანი მუშაობისთვის.

ქვეყნის მასშტაბით, სასწრაფო დახმარების ადმინისტრაციული შენობებით უზრუნველყოფის პროექტს რეგიონალური განვითარებისა დ ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად ახორციელებს.

შინმოვლის პროგრამის დანერგვის ფარგლებში

სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგის" თავმჯდომარეს, რუსლან საჯაიას, ასოციაციის მენეჯერს, ანჟელა ხუხუას, „ASB Georgia" პროექტის მენეჯერს, ზვიად მოდებაძესა და საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის" აღმასრულებელ დირექტორს, ნუკრი მილორავას შეხვდა.

სამუშაო შეხვედრა, სენაკის მუნიციპალიტეტში, შინმოვლის სერვისის პროგრამის დანერგვას შეეხო. პროექტი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და ხანდაზმული ბენეფიციარებისთვის, საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, საკონსულტაციო, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურების კომპლექსს მოიცავს.

სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ლევან კუპრეიშვილი უძღვებოდა.

კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა შემადგენლობით, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა საჭიროებებს პერმანენტულად განიხილავს და მათ ამ კუთხით არსებული პრობლემის მოგვარებაში ეხმარება.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის მერია, საცხოვრებელი სახლებისთვის საჭირო გადასახურ მასალას, 67 მოქალაქეს გადასცემს.

ინფრასტრუქტურული პროექტები

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ლევან კუპრეიშვილთან, მერის პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილესთან, კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

ამ ეტაპზე, დასრულების ფაზაშია ფალიაშვილისა და კანკავას ქუჩების დამაკავშირებელი ასსაფეხურიანი კიბის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება 123 910 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს შპს „ტოტალი" ახორციელებს.

აქტიურად მიმდინარეობს ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 90 920 ლარი.

სამუშაოებს შპს „დაგი" აწარმოებს.

ასევე, დასრულების ფაზაშია მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება 21 496 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს შპს „დაგი" ახორციელებს.

უახლოეს მომავალში, ქალაქის ცენტრში, პირველი ავტომობილის მაკეტი განთავსდება. მინის კონსტრუქციის სამუშაოები დასრულების ფაზაშია. სამუშაოებს, ღირებულებით 28 988 ლარი, შპს „დაგი" ახორციელებს.

ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის განახლებარეაბილიტაციის პროცესი.

სენაკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ამ ეტაპზე, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით - 30 ობიექტზე, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ 9 ობიექტზე, აქტიური სამუშაოები ხორციელდება.

რეაბილიტაციის პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ამ ეტაპზე, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით - 30, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ 9 ობიექტზე, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს.

ტაბიძის ქუჩაზე ასფალტის საფარი იგება.

სამუშაოებს შპს „ინდიკო" ახორციელებს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს იგორ ნარმანიას პირველ ჩიხში.

სამუშაოებს შპს „კოლხიდა" ახორციელებს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ტაბიძისა და ნარმანიას ქუჩებზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

შეუფერხებლად ხორციელდება

სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები შეუფერხებლად ხორციელდება.

დევნილთა დასახლებაში, აქტიურად მიმდინარეობს ეზოებისა და გზის ასფალტირების სამუშაოები.

პროექტს, ღირებულებით - 144 910 ლარი, ს.ს. „არქეოპოლისი" ახორციელებს.

ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, სამხედრო დასახლება სრულად გაზიფიცირდა.

ასევე, დასრულდა დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში მდებარე საბავშვო ბაღ „ოცნების" რეაბილიტაცია.

ახალი სასწავლო წლიდან, აღსაზრდელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოემსახურება.

დევნილი მოსახლეობის წინაშე მდგარი საჭიროებები, ადგილობრივი ხელისუფლების უშუალო ჩართულობით, ეტაპობრივად გადაიჭრება.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

საინფორმაციო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას მერიის შესაბამისი სამსახურების, ზოგადსაგანმანათლებლო, სკოლამდელი აღზრდისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან.

შეხვედრის მონაწილეებს, გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის კოორდინატორი, თამარ შერვაშიძე და ექსპერტი - რუსუდან თევზაძე, პროექტისა და ბუნებრივი კატასტროფების მართვის შესახებ, დეტალურ ინფორმაციას აწვდიან.

საინფორმაციო შეხვედრაზე აღინიშნა, სენაკი ერთ-ერთ სამიზნე მუნიციპალიტეტს წარმოადგენს, სადაც დაგეგმილია ინფრასტრუქტურული და საგანამანათლებლო პროექტების განხორციელება.

პროექტი – „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში", თანადაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და შვედეთის მთავრობის მიერ.

პროექტის განხორციელებას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) უზრუნველყოფს.

შეხვედრა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმი ლევან კუპრეიშვილი ა(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წარმომადგენლებს შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორს, ანა ჭიჭაღუასა და ექიმ-ეპიდემიოლოგებს - კლარა გრიგოლავას, ლალი ავალიანს, მაია ღვინჯილიას, ნინო ოდიშარიას შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის მერმა დეტალურად მოისმინა ინფორმაცია ცენტრის მიერ, პანდემიის პერიოდში განხორციელებული, ამ ეტაპზე მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

ლევან კუპრეიშვილმა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმ-ეპიდემიოლოგებს, ცენტრის მესვეურთ, მადლობა გადაუხადა ეპიდემიასთან ბრძოლაში გაწეული შრომისთვის.

„მინდა, თქვენს მიმართ, განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო. კორონავირუსის მძვინვარების ურთულეს პერიოდში, თქვენ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მაღალი პროფესიონალიზმით აკეთებდით თითოეული ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს, რომელსაც დღესაც აგრძელებთ, საზოგადოების და ქვეყნის დასაცავად" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა.

საქველმოქმედო სამედიცინო აქცია

საოჯახო მედიცინის ცენტრ „მკურნალში", ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და ა(ა)იპ „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავლის" - პრეზიდენტის, ქეთევან ბარათელის ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გიორგი ვოლსკისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოქალაქეებს, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს, ქვეყნის წამყვანმა კლინიკების ექიმები უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარეს.

სამედიცინო აქციაში ჩართული იყვნენ თანამედროვე სტანდარტების აპარატურით აღჭურვილი სხვადასხვა პროფილის ექიმები - თერაპევტი, კარდიოლოგი, ანგიოლოგი, ტრავმატოლოგი, ორთოპედი, უროლოგი, ონკოლოგი, ენდოკრინოლოგი, რევმატოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, პედიატრი, ოფთალმოლოგი, გასტროენტეროლოგი, ზოგადი ქირურგი, ნევროლოგი, ნეიროქირურგი.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რამაზ კუპრეიშვილი გაეცნენ

უფასო სამედინიცო მომსახურებით 500-ზე მეტმა პაციენტმა ისარგებლა.

სამედიცინო აქცია, სპეციალისტების რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, ანზორ ცაგურიამ, სხდომის მონაწილეებს განსახილველი საკითხები გააცნო.

სხდომას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სენაკის საჭადრაკო კლუბს მიენიჭოს ჭადრაკში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სენაკის კოლორიტის, მიხეილ ქურდოვანიძის სახელი.

სხდომის მონაწილეებს, მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა, ვახტანგ ფაცაციამ, მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში განხორციელებული უპრეცედენტო მასშტაბის პროექტები გააცნო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მიმდინარე და 2021 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულ, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებულ პრიორიტეტებსა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, ვეფხვია ვეფხვაძემ, დამსწრეთ, ხელოვნების ცენტრის მიმდინარე წლის მიღწევები, განხორციელებული აქტივობები და დაგეგმილი პროექტები გააცნო.

მერის წარმომადგენელმა ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოჩა ჭანტურიამ, დეტალურად მიმოიხილა ქალაქში მიმდინარე და დასრულებული მასშტაბური პროექტები, ისაუბრა პანდემიის პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საქმიანობის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, მერსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა.

ონლაინ სამუშაო შეხვედრა



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, პროექტის „გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების სტრატეგიის შემუშავება სენაკის მუნიციპალიტეტისთვის" ფარგლებში, ონლაინ სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ონლაინ შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსები, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი, ბადრი ქუთელია ესწრებოდნენ.

კვლევას, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოში დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

სიტუაციური ანალიზის მიზანი სენაკის მუნიციპალიტის მერიაში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით არსებული გარემოს შეფასება, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მაღალი ხარისხის მიღწევა-შენარჩუნება და საზოგადოების ნდობის გაზრდაა.

შეხვედრაზე დეტალურად იქნა მიმოხილული ის გამოწვევები და საჭიროები, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საქმიანობის გასაუმჯობესებლადაა საჭირო, გაიცა რეკომენდაციები.

სიმბოლური საჩუქრები

სასკოლო ასაკის 406 აღსაზრდელმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისგან, სიმბოლური საჩუქრები მიიღო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სექტორის ყველა თანამშრომელს, პანდემიის პირობებში გაწეული დაუღალავი შრომისა და ნაყოფიერი საალმზრდელო წლისთვის, მადლობა გადაუხადა, აღსაზრდელებს სამახსოვრო ალბომები, სიგელები და საჩუქრები გადასცა და ცხოვრების ახალ ეტაპზე, წარმატებები უსურვა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ექსკლუზიური მასალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან

ჭაობზე გაშენებული ოაზისი

საქართველოში ცნობილი ბაღების შემდეგ შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ასეთი სილამაზის შექმნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ბუნება და საკუთარი ქვეყანა ძალიან გიყვარს. ბოლო პერიოდში ზოგიერთი მედიით გავრცელდა უამრავი არასწორი ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული ორი დენდროლოგიური პარკის მოწყობის შესახებ (წვერმაღალას პარკი და შეკვეთელის დენდროლოგიური პარკი). მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ რიგ შემთხვევებში, პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ზოგიერთმა მედია საშუალებამ განგებ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. თუმცა 15 ივლისს ნანახმა მოლოდინს ნამდილად გადააჭარბა. ამ თემის ირგვლივ და ყველა პასუხგაუცემელ ბრალდებასა თუ კითხვას გაეცა პასუხი. თემისადმი მაღალი საზოგადოებრვი ინტერესის გამო საჭიროდ მივიჩნიეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ამავე მუნიციპალიტეტის გაზეთის მკითხველს გავაცნოთ ყველა საინტერესო დეტალი დენდრო პარკის შესახებ.

სად ნახავ მსგავს, სილამაზეს თუ არა შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში, სადაც ნამდვილი ოაზისია გაშენებული. სადაც შეგიძლია სრულიად უსასყიდლოდ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად დატკბე ულამაზესი ბუნებითა და ეგზოტიკური ცხოველების სანახაობით.

ჩვენ ვესაუბრეთ „ურეკი-რეზიდენსის“ გენერალურ დირექტორს ბატონ პაატა სულაბერიძეს, რომელიც უშუალოდ უძღვებოდა და მართავდა დენდროლოგიურ პარკს. გარდა ამისა ჩავწერეთ ასევე პარკის მოწვეული დენდროლოგი აგრონომი ბატონი თენგიზ ტარიელაძე, რომელიც 3 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ უნიკალური ჯიშის ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობას.

ბატონო პაატა, უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ადგილი, რომელზეც დღეს ეს უნიკალური დენდრო პარკია გაშენებული თავდაპირველად მთლიანად ჭაობი იყო. რა დრო დაგჭირდათ, რომ პარკს საბოლოოდ ეს სახე მიეღო?

მოთელვითი სამუშაოები დაიწყო 2016 წლიდან. შევისწავლეთ ტერიტორია, შედგა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ჩაუდგა სათავეში ამ დიდ და კეთილ საქმეს. ამის შემდეგ შემოვიკრიბეთ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელთაც შეისწავლეს თითოეული ნიუანსი. აქ იმდენად გაუვალი ჭაობი იყო, რომ ალბათ ვერავინ იფიქრებდა საბოლოოდ ასეთ სახეს თუ მიიღებდა. სწორედ ეს არის თავდაუზოგავი შრომის შედეგი თითოეული ადამიანისა, რომლებმაც აქ მიიღო მონაწლეობა.

უნიკალური ჯიშის ხეების ნაწილი შემოტანილია საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ხოლო ნაწილი საზღვარგარეთიდან. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

ტერიტორიის დამუშავება-მოწყობის შემდეგ დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უნიკალური ჯიშის ხე-მცენარეების მოძიება. 18 ჰექტარზე გაშენდა საქართველოში მოძიებული ენდემური ჯიშის ხეები, კოლექცია უნიკალური სახეობის 200 -ზე მეტი გიგანტური სახეობისგან შედგება. ხოლო დანარჩენ 42 ჰექტარზე კი მსოფლიოს ხუთი კონტინენტიდან წლების განმავლობაში შემოტანილი ეგზოტიკური სახეობის ათასობით ხე მცენარე. მინდა ყურადღება გავამახვილო არაჩვეულებრივ ბამბუკების კორომზე, რომელიც მართლაც რომ უნიკალური სანახაობაა და დამთვალიერებელს გულგრილს ნამდვილად არ დატოვებს.

გიგანტური ხეების გადატანას მრავალი ეპითეტი მოუგონეს, თუმცა ფაქტი სახეზეა. აქ ვერავინ ნახავს ხეს, რომელიც არ ხარობს. და მაინც იყო თუ არა შემთხვევა, როცა ხე არ გადარჩა ან ძნელად გადასარჩენი გახდა?

სიმართლეს გეტყვით არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. იყო სირთულეები მაგრამ ხე, რომ არ გახარებულიყო ასეთი არა. რა თქმა უნდა ეს ჩვენი სპეციალიტების დახმარებით და ძალისხმევით შევძელით. მცენარეთა ადაპტაციის პროცესის ხელშესაწყობად შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიური სისტემებით აღჭურვილი უნიკლური ინფრასტრუქტურა უწყვეტ რეჟიმში აკვირდება თითოეული მცენარის ზრდა-განვითარებას. ზომავს ნიადაგის ტენიანობას, ჰაერის ტემპერატურას, ამავე დროს ახდენს მოსალოდნელი ნალექების პროგნოზირებას. ყველა ეს მონაცემი კი დამეთანხმებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარისთვის.

ხის გადმოტანის პროცესში შეგქმნიათ თუ არა პრობლემა მოსახლეობასთან?

აბსოლუტურად ყველა მოსახლესთან, საიდანაც უნდა გადმოტანილიყო ხე ხდებოდა მოლაპარაკება, დგებოდა ხელშეკულება და ეძლეოდა კომპენსაცია. სოფელსა თუ დასახლებაში, სადაც გამოვატარებდით ხეს იგებოდა ასფალტის საფარი, უკეთდებოდა ადამიანების საცხოვრებლებს ახალი ღობეები. უმეტეს შემთხვევაში თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი შეთანხმებები დგებოდა უპრობლემოდ. უარყოფით ტალღას ქმნიდნენ არაკეთილისმოსურნე ზოგიერთი მედიასაშუალებები, რომლებიც ხის ამოღებიდან მეორე დღესვე მიდოდნენ და იღებდნენ გადათხრილ ადგილებს, ანუ ფაქტობრივად არ გვაძლევდნენ დროს რომ სამუშაოები ბოლომდე მიგვეყვანა. მაგრამ ნათქვამია „სიმართლე სინათლეაო“. საბოლოოდ ყველაფერი თვალნათელია.

ექსკლუზიური მასალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან

ჭაობზე გაშენებული ოაზისი





გარდა ამისა ზოგიერთი ხე ისეთი ადგილებიდან არის გადმოტანილი, სადაც დიდი ალბათობა იყო ან შეშისთვის მოეჭრათ ან ბუნებრივ მოვლენებს გაენადგურებინა. ეხლა კი ყველანაირი პირობაა თითოეული ხისთვის შექმნილი რომ იცოცხლოს.

საზოგადოებისთვის ცნობილია რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოყვანილია იშვიათი ჯიშის ფრინველები და ცხოველები. გარდა ამისა პარკის ერთ-ერთი მარგალიტია ხელოვნურად შექმნილი ტბა, სადაც ბინადრობენ ეს ფრინველები. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

რაც შეეხება ფრინველებსა და ცხოველებს. ამ სახეობათა უმრავლესობა გადაშენების პირასაა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წითელ წიგნში არის შეყვანილი. აქ ჩვენ შევქმენით უნიკალური ტბა, სადაც ბინადრობენ ვარდისფერი და წითელი ფლამინგოები, შავი გედები, იშვიათი ჯიშის წეროები, ყარყატები, იხვები, ფარშევანგები ასე შემდეგ მათი საცხოვრებელი გარემო მაქსიმალურად არის მორგებული ბუნებრივ პირობებთან. არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფრინველებისა და ცხოველების მოვლა-პატრონობას. სწორედ მათი გამართული და სწორი მუშაობის შედეგია ისიც, რომ ადგილი აქვს გამრავლებას. გამრავლდნენ აფრიკული წეროები. ასევე გამრავლდნენ ფლამინგოები. უკვე გვყავს 6 ნამატი. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მათთვის არის საუკეთესო გარემო პირობები.

გარდა ფრინველებისა ჩვენს პარკში შეხვდებით იშვიათი ჯიშის თუთიყუშებსა და ლემურებს, რომლებიც ჩვენი პატარა დამთვალიერებლების ფავორიტი ცხოველია.

სამწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის და არაერთი წარმოუდგენელი სამუშაოს შესრულების შედეგი უამრავმა ადამიანმა უკვე საკუთარი თვალით იხილა რომ პარკი ხალხის საკუთრებაა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია აქ მოვიდეს და დატკბეს ამ წალკოტით.

ჩვენს რესპოდენტებს ბატონ პაატა სულაბერიძესა და თენგიზ ტარიელაძეს დიდ მადლობას ვუხდით, რადგან ამ მეტად რთული სამუშაო დღის რეჟიმის მიუხედავად გამონახეს დრო ინტერვიუს ჩასაწერად.

ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და ბევრი ასეთი სასარგებლო პროექტის განხორციელებას..

ეხლა კი ჩვენს მკითხველს გვინდა, კიდევ ერთხელ სიამაყით ვაცნობოთ: გურიაში ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით შექმნილია არაერთი დასასვენებელი სივრცე, სადაც შეგიძლიათ დრო სასიამოვნოდ გაატაროთ.

ეს არის, მუსიკოსთა პარკი ბლექსი არენას ტერიტორიაზე, ასევე მინიატურების უნიკალური პარკი, წვერმაღალას პარკი და ატრაქციონების პარკი „ციცინათელა“.

რეგიონს ახალი სიცოცხლე შემატა აგრეთვე ბლექსი არენას უპრეცენდენტოდ დიდმა და ულამაზესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილმა საკონცერტო დარბაზმა.

სასტუმრო „პარაგრაფი რეზორტი სპა შეკვეთილი“ საერთაშორისო ბრენდის Autograph Collections-ის პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, რომელიც სამკურნალო ქვიშის სანაპიროსა და მრავალწლიან ფიჭვნარს შორის მდებარეობს. აქ ნახავთ უნიკალური აკვარიუმითა და ზღვის იშვიათი ბინადრებით, ზამთრის დახურულ ბაღს ეგზოტიკური მცენარეებითა და ზღვაში შეჭრილი აუზით. სასტუმრო “პარაგრაფი„ წლის განმავლობაში უამრავ ვიზიტორს სტუმრობს.

შეკვეთილი მართლაც, რომ ულამაზესი ტერიტორიაა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სილამაზითა და სამკურნალო თვისებებით, მაგრამ ფონდმა ქართუმ და ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იგი აქცია რეგიონისა და ქვეყნის ყველაზე დიდ ულამაზეს ტურისტულ ცენტრად.

ბატონ ბიძინა ივანიშვილის უპრეცედენტო ქველმოქმედებას და ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ჟურნალისტური ფერუმარილი არ სჭირდება. იგი წარმოჩენილია თავისი სასიკეთო საქმეებით, უხვად გაცემული მადლით, აშენებული ეკლესია-მონასტრებით...

ჩემს თანაქალაქეებს მინდა მივმართო ესტუმრონ შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს, თავისი თვალით ნახონ ეს მართლაც უნიკალური ქმნილება და ბუნების საოცრება.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ულამაზესი საქართველო კიდევ უფრო ცნობადი გახდება თავისი უნიკალური ტერიტორიებით, ტრადიციებით და ტურისტული მასშტაბებით.

მარიკა მიქაბერიძე,
სენაკის მუნიციპალიტეტის
გაზეთ „კოლხეთის” ჟურნალისტი

სენაკში განახლება თვალსაჩინოა

არის მოვლენები, რომლებიც სულის სიღრმეში ისე დაილექება, რომ მიუხედავად წლების სრბოლისა, მიუხედავად დროჟამის გასვლისა, დავიწყების მტვერი არ ედება ჩვენს მეხსიერებაში, ადვილად არ გაივლის, არ დაიძვრის, თან გაგყვება და თავს შეგვახსენებს .

დარწმუნებული ვარ ასეთი იქნება წლევანდელი წელი, რომელმაც გლობალური პანდემიით შემოგვიტია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის საკმაოდ დაგვაზარალა.

პანდემიის დროს სენაკის მუნიციპალიტეტში ასობით ოჯახს გაეწია სურსათით და სამედიცინო დახმარება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრავალშვილიან, დევნილთა და შეჭირვებულთა უზრუნველყოფას. დროულად ჩატარდა სკოლების, საბავშვო ბაღებისა და საწარმო – დაწესებულებების სადეზინფექციო სამუშაოებები. ამან გარკვეულად შეუწყო ხელი ავადობისაგან დაცულიყო მოსახლეობა. საბედნიეროდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა „კოვიდ-19”-ის არც ერთი შემთხვევა.

ამ რთულმა დრომ, გარკვეულად შეაფერხა ცხოვრების რიტმი და საქმიანობა, თუმცა ველარ გააჩერა ის. ყოველგვარი შეფერადების გარეშე ვიტყვი, რომ ბოლო სამი წელია სენაკის მუნიციპალიტეტში, როგორც იტყვიან ბუმია მშენებლობის, განახლების, ახალის დანერგვისა და ძველის გაცოცხლების. ეს ყოველივე კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა ბოლო თვეების განმავლობაში, რაც მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის თაოსნობითა და მონდომებით ხდება. გადაილახა პანდემიით არსებული სირთულეები და რაიონის ეკონომიკა თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

სწორადაა ნათქვამი, რომ სოფელს თუ ქალაქს ადგილობრივი უნდა ხელმძღვანელობდესო. ჩვენ გვაქვს სასიამოვნო შემთხვევა, როცა მუნიციპალიტეტს ხელმძღვანელობს განათლებული, საქმიანი და მშობლიურ რაიონზე შეყვარებული ადამიანი. რომელსაც გული შესტკივა ყველაფერზე. სურს ისე იღვაწოს, რომ მნიშვნელოვანი კვალი დატოვოს ყველა სფეროში და წლების შემდეგ უკან მოხედვა სიამოვნებდეს.

როცა პანდემიის გამო მოსახლეობა სახლებში იყო ჩაკეტილი. სამშენებლო საქმიანობის ტემპი გარკვეულად შენელდა, მერს არ მოუსვენია. არც მშენებლებისთვის მიუცია მოცლის საშუალება. მას ხშირად ნახავდით დამტვერილი შარვლითა და ფეხსაცმლებით. თითქმის ყოველ დღე ეწვეოდა ობიექტებს, ამოწმებდა. ცდილობდა ხარისხიანად წარმართულიყო სამშენებლო პროცესი.

სამშენებლო და სარეაბილიტაციო ობიექტები კი მოიცავს ყველა სფეროს, ქალაქსა და სოფელს. თუ გასულ წელს, 9 მილონამდე ლარის სამუშაოები განხორციელდა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებულია 5. 819. 530 სამუშაოების წარმოება. საბედნიეროდ ობიექტების მშენებლობა კარგ ტემპში, შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერია და ინფრასტრუქტურის სამსახური ცდილობენ ძალა არ დაიშურონ, რათა საქმიანობის რითმი და თანმიმდევრობა იყოს უწყვეტი. საგულისხმოა, რომ წინა პლანზეა წამოწეული საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტების მშენებლობა. ამის დასტურია აკაკი ხორავას სახელმწიფო თეატრის განახლების მაგალითი, რომლის მშენებლობა თითქმის დასრულებულია. ასევე დასრულების ფაზაშია ეროვნული გმირის ჟ. შარტავას სახელობის მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, რომლისთვისაც 100 ათას ლარი იხარჯება. თეატრისა და სამხატვრო გალერეასთან ერთად, მუზეუმის შენობა ქალაქის სავიზიტო ბარათია. დროული და აუცილებელი იყო ქალაქის ცენტრში მდებარე ამ შენობის განახლება.

ეს არის გმირის სახელისათვის პატივმიგება. მისი ღვაწლის დაფასება. იმის დემონსტრირება, რომ ჟიულის თავგანწირვა არასდროს მიეცემა დავიწყებას.

მუნიციპალიტეტის მერია პარალელურად ახორციელებს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის სახლის განახლებას, სადაც მოსწავლე ახალგაზრდები სხვადასხვა სექციებში მეცადინეობენ. ეს დარბაზი დიდი ხანია ითხოვდა შეკეთებას.

აქტიური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქოს დასვენების პარკის სამხრეთის მონაკვეთის განახლებისთვის. ეს ის ადგილია რომლის ირგვლივ დგას გმირი წურწუმიას ძეგლი. ომის მემორიალი (კუბი), საკათედრო ტაძარი. მუსიკალური სკოლისა და თეატრის შენობები. ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს უძრავი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ნიშანდობლივია, რომ ამავე სკვერში დაიდგა და მალე გაიხსნება საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი. სწორედ ამიტომ მერის ლ. კუპრეიშვილის ინიციატივით ახალი სახე მიეცა პარკსა და მის შემოგარენს. დასვენების პარკის ერთ ნაწილზე მოიხსნა რკინის შემორაგვა. მოეწყო ქვაფენილი. გათვალისწინებულია დასვენებისა და გართობის სხვადასხვა საშუალებები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლების შეკეთებისთვის დაგეგმილია 450 ათასი ლარი, ბაღებისთვის 115 .000 ლარის სამუშაოების ჩატარება. ორი ბაღის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. შავი საფარი დაიგო და მომავალში დაიგება ათობით ქუჩაზე. მოხდება სკვერების რეაბილიტაცია. ქალაქში არსებული რამდენიმე სახლის სახურავისა და ფასადების შეკეთება. მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების აღდგენა. კეთილმოეწყობა ეკლესიებთან და სასაფლაოებთან მისასვლელი შარები და ხიდეები. წყალმოვარდნის საშიშროების გამო გაღრმავდება ღელეები, გამაგრდება მათი ნაპირები.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომლის ნაწილი უკვე განხორციელდა და მომავალში გაგრძელდება.

დღეს მუნიციპალიტეტში გვაქვს მდგომარეობ, როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდები, სამშობლოს, საქმისა და ადგილის დედის მოყვარულ თაობა. შეუძლებელია ეს არ იწვევდეს ჩვენში - მამათა თაობაში კმაყოფილებას. შესაბამისად, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მათ მიმართ მადლიერება. მერის მოადგილეები: გ. ბაღათურია და კ. კუპრეიშვილი ერთგულად უდგანან გვერდში ერთმანეთს, რაც განაპირობებს საერთო წარმატებას. ამასთან უნდა ვუთხრათ, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

აღნიშვნის ღირსია სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. მათ შორისაა: ს.ს „არქეოპოლისი” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დემურ გადელია. შ.პ.ს „დაჯი” უფროსი დათო ადამია და სხვები .

აქვე მკითხველს უნდა მოვახსენო ჩემი და დარწმუნებული ვარ სენაკის მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუნელებელი სურვილის შესახებ. უკვე წლებია ვცდილობთ ქალაქის ცენტრში დაიდგას საქართველოს ერთიანობის მემორიალი. რომელშიც გასხივოსნდება ქუჯი ეგრისელისა და ფარნავაზ ქართლის მეფის სკულპტურები. რომლებმაც ეროვნული და მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნებით საფუძველი ჩაუყარეს ერთიან საქართველოს .

ქვეყანაში გვაქვს ბრწყინვალე და დიდებულ მეფეებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიუსტები. საბრძოლო გამარჯვებისა და ომში დაღუპულთა მემორიალები. მაგრამ არა გვაქვს შინაარსობრივად დატვირთული, მნიშვნელოვანი მოვლენის აღმნიშვნელი მემორიალი, (ქართველთა ერთიანობის სიმბოლო).

მემორიალის დასადგმელად პირველი ნაბიჯები გადაიდგა. შექმნილია შესანიშნავი პროექტი. შერჩეულია მემორიალის მოწყობის ადგილი. მთავარია დაფინანსების წყაროს გამონახვა. ამ საქმეს ერთი რაიონი და ერთი სამხარეო ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა ხელისუფლების კეთილი ნება, მათი თანადგომა, რომ ბოლოსა და ბოლოს სისრულეში მოვიდეს ერის ისტორიის ბრწყინვალე მოვლენის ქანდაკებაში ხორცშესხმა.

მგონია, რომ აღნიშნული მემორიალი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული არქიტექტურის გალერეაში. ამ საქმეში დაინტერესებას ვთხოვ სენაკის მერსა და მის მოადგილეებს , რომ საკითხი დაისვას მხარის გუბერნატორთან, რომ მისი თანადგომით მოხდეს საკითხის დასმა საქართველოს მთავრობაში.

გორის დავითაია,
აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის სახელობის პრემიების ლაურიატი

სიყვარულის, თანადგომისა და ერთობის ქალაქი

ჩვენ ორიენტირებული ვართ თქვენზე,ძლიერი ქართული ოჯახები, ძლიერი სახელმწიფოს გარანტია.

სენაკში გაიტესტა სტევია (შაქარი), გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. სტევია სისხლში ამცირებს ქოლესტერინს, აქვს სხვადასხვა სამკურნალო თვისებები, გამოიყენება კულინარიაში, 10 ჯერ უფრო ტკბილია ვიდრე

ჩვეულებრივი შაქარი. მოიხმარენ დიაბეტით დაავადებულები, არ იწვევს ორგანიზმში შაქრის ზრდას. სტევიას 1კ/გ საბაზრო ღირებულება შეადგენს 130 ლარს. 200 კვადრატულ ფართზე, შესაძლებელია 200 კილოს მიღება, რაც თითოეული თქვენი ოჯახის დამატებითი 10000 დან 15000 ლარამდე წლიური შემოსავალი იქნება.

მოგმართავთ ყველა სენაკელს,ემიგრანტებს, სრულიად საქართველოს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული ოჯახების სიძლიერე, გავერთიანდეთ პრაქტიკული საქმით უფრო მეტი შედეგის დასადებად, გავხადოთ ჩვენი ოჯახები, ქალაქი, სახელმწიფო უფრო ძლიერი. გპირდებით საკუთარი თავით ვაგებ პასუხს, თქვენ წინაშე ნათქვამ ყოველ სიტყვაზე, თუ შევძლებთ სიყვარულს, ერთობას, თანადგომას, ჩვენ ყველა პრობლემას გადავწყვეთ, თქვენ შეგიძლია შექმნათ სამუშაო ადგილები,- თქვენ განკარგავთ თქვენ მომავალს, ნუ დაელოდები სხვას, სახელმწიფო ხარ შენ!

სენაკი ჩვენი ოდაბადეა — ეს არ არის პოლიტიკა, ეს თავისუფალი საზოგადოების, ეროვნულ, სახელმწიფოებრივი აზროვნებისკენ, პრაქტიკული საქმით სიყვარული და რწმენისკენ მოწოდებაა.

კახა კვირკველია

„ინოვა დენტი“ წარმატებული სტომატოლოგიური კლინიკა ჩვენს ქალაქში

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი გახლავთ სტომატოლოგიური კლინიკა „ინოვა დენტის“ დამფუძნებელი და წამყვანი სტომატოლოგი ქალბატონი შორენა ხოშტარია. ჩვენ დავინტერესდით მისი საქმიანობით და მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

ქალბატონო შორენა, რომელი წლიდან ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კლინიკა, როგორია კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რამდენად კვალიფიციური მედ-პერსონალით არის დაკომპლექტებული?

პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ მოწვევისათვის და სიხარული გამოვხატო ქალაქის ბევრ წამყვან და ჩემზე არანაკლებ გამოცდილების მქონე კოლეგებს შორის რომ მე მხვდა წილი ვყოფილიყავი თქვენი რესპონდენტი.

კლინიკა ფუნქციონირებს 2012 წლიდან.

აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მკურნალობის ინოვაციური მეთოდები მოზრდილთა და ბავშვთა სტომატოლოგიაში, ქირურგიასა და იმპლანტოლოგიაში, ორთოპედიასა და ორთოდონტიაში.

კლინიკა დაკომპლექტებულია მოწვეული, მაღალკვალიფიციური ექიმებით.

თერაპიულ განყოფილებაში ხდება კბილების გაწმენდა-გათეთრება, ენდოდონტიური მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით, მხატვრული რესტავრაცია მაღალი ხარისხის მასალებით, ღრძილების მედიკამენტოზური მკურნალობა.

ქირურგიულ განყოფილებაში ტარდება ქირურგიული მანიპულაციები, რომელსაც ატარებს ყბა-სახის ქირურგი.

ორთოპედიულ განყოფილებაში კეთდება მეტალო-კერამიკის და ცირკონოკერამიკის, პრესკერამიკის გვირგვინები და ხიდები, თანამედროვე ელასტიური პროთეზები და სხვა თანამედროვე ორთოპედიული კონსტრუქციები.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად ტარდება დენტალური იმპლანტაცია. დენტალური იმპლანტი არის ძვალში მოთავსებული ხელოვნური გვირგვინის საფიქსაციო უცხო სხეული, რომელიც ეფექტური და უსაფრთხო მეთოდია თანამედროვე სტომატოლოგიაში.

ორთოდონტიულ განყოფილებაში კი ხდება ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების გასწორება როგორც ფირფიტოვანი, ასევე თანამედროვე ბრეკეტ სისტემებით.

კლინიკაში ფუნქციონირებს თანამედროვე ციფრული რენტგენის კაბინეტი და რაც მთავარია, კლინიკა აღჭურვილია უმაღლესი დონის თანამედროვე სასტერილიზაციო აპარატურით. სტერილიზაცია მიმდინარეობს სტანდარტის და ყველა ეტაპის დაცვით.

რა სახის სტომატოლოგიურ მომსახურებას უწევთ პაციენტებს (მოქმედებს თუ არა განვადება ან სხვა სახის პროგრამები).

დიახ, კლინიკაში მოქმედებს განვადება და ვემსახურებით ჩვეულებრივ დაზღვეულ პაციენტებსაც.

როგორ მუშაობდით პანდემიის პირობებში. უწევდით თუ არა სტომატოლოგიურ დახმარებას პაციენტებს გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. ამჟამად როგორ იცავთ მთავრობის და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს?

პანდემიის პირობებში ჩვენმა კლინიკამ 19 მარტს გეგმიურ მომსახურეობაზე შეწყვიტა მუშაობა. 20 მაისს კი სამეგრელოს რეგიონში პირველმა, წარმატებით გაიარა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული მონიტორინგი და მაშინ რეგიონში პირველს, როგორც კოვიდ-19-ის ინფექციის პრევენციისთვის ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით დამცველსა და თანამედროვე სტანდარტის მქონე კლინიკას, ნება დაერთო გაეგრძელებინა ფუნქციონირება გეგმიურ მომსახურეობაზე.

ქალბატონო შორენა, როგორ გაიხსენებთ თქვენი ბავშვობის წლებს, ორიოდე სიტყვით თქვენი მშობლებისა და ოჯახის შესახებ. თქვენ როგორც ჩვენი კოლეგის შვილს რა დამოკიდებულება გაქვთ რეგიონალურ მედიასაშუალებებთან?

ბავშვობა ძალზედ საინტერესო და ლაღი მქონდა, უამრავი თბილი და საინტერესო მოგონებებით აღსავსე.

გავიზარდე სამხედრო პირის ოჯახში. მამა ლერი ხოშტარია მაიორ-პოლკოვნიკი იყო, რის გამოც გარკვეული წლები გვიწევდა სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრება,

რამაც უამრავი ლამაზი მოგონება და მეგობარი შემძინა. დედა ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია პროფესიით ჟურნალისტი, მწერალი, ცნობილი რომანის "ჟამი და უფალის", სამაგიდო წიგნ – მემატიანის „სამეგრელოო ჩემოს" 13 ტომის და უამრავი ნოველისა და ჩანახატის ავტორი.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩავაბარე „ზდუს" სამედიცინო უნივერსიტეტში. დავამთავრე წითელ დიპლომზე, შემდგომ გავიარე მინი რეზიდენტურის კურსები თერაპიულ და ქირურგიულ სტომატოლოგიაში თბილისის რამდენიმე წამყვან კლინიკაში. შეიძლება ითქვას, სტომატოლოგიის ქართველ კორიფეებთან.

2000 წლიდან კი უკვე მქონდა ჩემი პატარა სტომატოლოგიური კაბინეტი, სადაც პროფესიულად გავიზარდე და საბოლოოდ ჩამოვყალიბდი ჩემს უსაყვარლეს თანამშრომლებთან ერთად.

2012 წელს კი გავფართოვდი და პატარა ერთსავარძლიანი კლინიკიდან გადავინაცვლე და გავხდი დიდი, ყველა თანამედროვე სტანდარტების მქონე კლინიკა "ინოვა დენტის" დამფუძნებელი.

მთელი ამ წლების განმავლობაში არაერთ საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში მიმიღია მონაწილეობა, მასტერკლასებზე, თანამედროვე ენდოდონტიასა და რესტავრაციაზე, ქირურგიასა და ბავშვთა სტომატოლოგიაში.

2020 წლიდან კი ამირჩიეს საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრად და იმ დღიდან მთელი ძალით ვცდილობ დავეხმარო რეგიონის კოლეგა-სტომატოლოგებს, ასოციაციის მხარდაჭერით, მათთვის პრობლემატური საკითხების გადაჭრაში, რაც უდიდეს სიხარულს მანიჭებს.

მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი. მეუღლე ინჟინერ-მშენებელია.

უფროსი ქალიშვილი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი, გაიარა რეზიდენტურის კურსი სასწავლო ცენტრ "ალბიუსში". წარმატებით მუშაობს კლინიკა "ინოვა დენტში".

უმცროსი ქალიშვილი კი არის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-12 კლასის მოსწავლე, 2017 წელს ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებული და იმყოფებოდა მის 4 თანაკლასელთან ერთად NASA-ს კოსმოსურ ცენტრში სასწავლო პროგრამით. მის შემდგომ იყო არაერთჯერ ევროპის ქვეყნებში, მიწვეული ფინეთში მსოფლიო ეკოლოგიურ სამიტზე, როგორც საქართველოს წარმომადგენელი.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რა დამოკიდებულება მაქვს რეგიონალურ მედიასაშუალებებთან, უნდა გითხრათ, რომ პირველ რიგში, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვობიდან ახლოს ვიყავი ამ სფეროსთან, დედა თავის ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში, შემდგომ კი იყო გაზეთ „პოსტ-კოლხას" რედაქტორი, მეც მიწევდა ჩართვა და შეიძლება ითქვას ჟურნალისტიკა და მწერლობა ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო და არის.

და ახლაც რა თქმა უნდა დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს რეგიონალურ მედია საშუალებებს.

თქვენ კი, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მოწვევისათვის და იმისთვის, რომ ასე პროფესიონალურად ემსახურებით ჩვენს ქალაქს და რეგიონს და აცნობთ მოსახლეობას რეგიონში განვითარებულ მოვლენებსა და სიახლეებს.

ძალზედ სასიამოვნო იყო ჩვენს მშვენიერ და ამავდროულად წარმატებულ, რესპოდენტთან კომუნიკაცია. ვუსურვებთ მას კიდევ უფრო წარმატებულ სვლებს პროფესიულ საქმიანობაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას კი ოჯახში...

მარიკა შამათავა

აკაკი-180

21 ივნისს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წელი შესრულდა. ამასთან დაკავშირებით შესატყვისად ვცანით დიდი მგოსანი მისივე შემოქმედებითა და მასზე სხვათა (მის თანამედროვეთა, თანამოაზრეთა თუ მომდევნო თაობათა) ნააზრევით გაგვეხსენებინა

საპასუხოდ

ეს ერთი ხანია მოსვენება აღარ მაქვს!.. ჩემიანი თუ სხვისიანი, ნაცნობი, ყველა ერთად და ერთიანად მესაყვედურება: „რა მიზეზია, რომ შენს ნაწერს ამ ოც-დაათი წლის განმავლობაში აქა-იქ გაბნეულს, არ მოაგროვებ და ცალ-ცალკე წიგნად არ გამოსცემო?“

რომ ეს საყვედური თავიდგან ავიცილო, იძულებული ვარ ერთხელ და სუკუნოდ ჩემი გულის პასუხი გამოვამჟღავნო: ბევრჯელ მითქვამს და ეხლაც ვამბობ, რომ ძნელია ოჯახში მარტო-ხელობა!.. ყოველგავრი საოჯახო ერთს ატყდება თავზედ და რომ არა გაფუჭდეს-რა, ყველაფერს ძალა-უნებრად უნდა წაეტანოს, ყველაფერს მოჰკიდოს ხელი და ცოტა-ცოტა ყველაფერი აკეთოს!! ამ გვარს მოუსვენარსა და გაბნეულს შრომას ჯახირს ეძახიან, მაგრამ თუ მაინც ასე არ იჯახირა მარტო-ხელა კაცმა უეჭველია ოჯახში ცეცხლი გაუქრება და კერაც გაუცივდება. ამ ყოფაში უნდა იყოს, სანამ შვილები არ წამოეზრდება და ოჯახი არ გაკაცრიელდება; მაშინ-კი შეუძლიან მოისვენოს, რადგანაც მუშები გაინაწილებენ საოჯახო საქმეს და სათითაოდ არჩეულლი საქმეც უკეთ წავა. ახლა ის შვილები რომ მივიდნენ მამასათან,ანუ იმ მოხუცებულთან, ვინც უნდა იყოს, და სათითაოდ უსაყვედურონ: „შენც ჩვენს ხელობაზედ მდგარხარ; მე რომ დღეს საქმეს ვაკეთებ, ადრე შენც ხომ იმას აკეთებდი, მაგრამ ჩემსავით-კი ვერა!.. შენს ნამუშევარს აჩქარება, აფუსფუსება ეტყობა, და სხვანიო!“ რა უნდა უპასუხოს მამამ? აი რა: „მართალი ხართ, შვილებო, რომ აღარ მოგწონთ ჩემი ნაწერები! თქვენ ბევრად უკეთ აკეთებთ დღეს ჩემზედ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ მე ან ნიჭი, ან ოჯახის ერთგულება, ან შრომისმოყვარეობა მკლებოდეს! თქვენ დღეს შეგიძლიანთ თითო თავ-საქმეს დაადგეთ და მთელი დრო იმ რჩეულს საქმეს მოახმაროთ ხელშეუშლელად და მე კი ცოტ-ცოტა ყოველიფერი უნდა მეკეთებინა, რომ თქვენამდის ცოცხალ-მკვდრად მაინც მომეტანა ის საქმეები!“

სწორედ ამ გვარი მარტო-ხელობა იყო ჩვენში სამოციანს წლებში, როცა რამდენიმე ახალგაზრდა გამოვიდა სარბიელზედ ქვეყნის მუშად და დღიურ-ავ-კარგიანობის სამსახურს შეუდგა. ნამდვილი მუშა სწორე იმ ხელ-საწყოს ჰხმარობს, რომელიც საჭიროა, და არას აურ-დაურევს: ხვნა-თესვის დროს სახნისსა ჰკიდებს ხელს, თოხნის დროს თოხს აიღებს ხელში და მკის დროს-კი ნამგალს ატრიალებს. ზარმაცი და თვალთმაქცი მუშა-კი დროს შესაფერისად არ ირჯება! თესვა-ხვნის დროს ის ნამგალს ჰლესავს და თანაც გაიძახის: მე უფრო შორს-გამჭვრეტელი ვარ და მომავალზედა ვფიქრობდი; პური რომ

შემოვა, ნამგალი მზად მექნებაო, და სხვანი... მაგრამ სოფელში ამ გვარს ცუღლუტს ეძახიან. ყოველი კაცი უნდა აწმყოს მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახურშიც იმდენად, რამდენადაც ეს ორი დრო ერთმანეთზედ გადაკავშირებულია. საქმეს ვინც წინ უსწრებს, ის ნაყოფს ვერ მოიტანს. ამ აზრზეც იდგნენ სამოციან წლების ახალგაზრდა მუშები და ამიტომაც მათი გაზომ-აწონვა, იმ დროის შეუსწავლელად, ამ დროთი არ შეიძლება. ისინი მხოლოდ იმ ფიქრში იყვნენ, როგორ დავეხმაროთ და მივეშველოთ მისაშველს და რა გვარად ვეწინააღმდეგოთ ამ მავნეს და საწინააღმდეგოსა. „ეს საქმე პატარაა და არ მეკადრება“, „ის პირველად არას მარგებს“, „ჯერ თავოდა თავო, მერე ცოლო და შვილო“... და სხვანი ამისთნანი აზრადაც არ მოსდიოდათ!... ხმარობდნენ ყოველ გვარს ხელ-საწყო იარაღს, რაც-კი უფრო ემარჯვებოდათ!.. იმ დროს, აბა ვინ იფიქრებდა, ჩემი ფარ-ხმალი მოვჭედო და მოვქარგო, რომ ლამაზი და მოსწონი გამოვიდესო?

ამ ახალგაზრდების რიცხვში ერთი უმფროსთაგანი მეც ვიყავი და რადგანაც კალამი მემარჯვებოდა, სხვათა შორის იმასაც იარაღად ვხმარობდი. მაშინ მე ხელოვნებაზედა და მომავალზედ-კი არა ვფიქრობდი, მხედველობაში მხოლოდ ის მქონდა რომ ჩემს ნაწერს დღიურ ავ-კარგიანობაზედ გაეჭრა. ის დრო წავიდა, ახლა სულ სხვა დროა. მაშინდელი ჩვენი ნაწერი და ნამუშევარიც, იმავე დროს, თან გაჰყვა, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს სრულიად უმნიშვნელოა!... და აი რად არ მსურს, რომ ჩემი ნაწერები იბეჭდებოდეს! თუ ისე დაიბეჭდება, როგორც იმ დროის მასალა, მაშინ არას ვიტყვი, მაგრამ თუ ისე შეხედავენ, როგორც სახელოვანი და საპოეზიო ნიმუშებს, თანახმა არა ვარ! ამას მე არც თავ-მდაბლობით ვამბობ და არც მეტიჩრობით!... გულ-წრფელად აღვიარებ და სხვებმა რაც ენებოთ, ის იფიქრონ, მათი ნებაა!...

აკაკი წერეთელი

***

„სიტყვა აკაკი წერეთლისა თქმული თელავში კახელების წინაშე - ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გავხსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, იცით რა რას დაამჯობინო, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, – ისე შეზავებულია. ისე შეხამებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან, ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.

„ღმერთმა ქნას რომ შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდეს“, – უთქვამთ ბატონ აკაკისთვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, – უპასუხნია აკაკის: -- რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო“. დიაღ, ბატონებო ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქნას, გულს იმხნევებს დღევანდელის დღის ვაივაგლახით და ნაცარტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ-სიტყვათ არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა – ღმერთმა ამრავლოთ დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამთზედ ბევრად ძლიერნი, ნიჭიერნი, ბევრად მოქმედნი. „ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ -- დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბატონ აკაკის. ასე უანდერძიათ ჩვენ მამ-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვია, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის – კაცებად თუ ჩავითვლებით!...

ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობნება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწაწყალს, ჩვენს საყვარელ საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამაულის – შვილობისათვის”.

ილია ჭავჭავაძე

***

„როგორც ილიადას“ ლეგენდარული ავტორი ძველი ელინთა წარმოდგენაში, ან ვიქტორ ჰიუგო თანამედროვე ფრანგების შეგნებაში, აკაკი წერეთელიც ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩენილია სიმღერებში გათეთრებულ წმინდა მოხუცად. ეს თითქმის სიმბოლოდ ქცეული გარეგნული ხატი მხცოვანი მგოსნისა, ჩვეულებრივ, ჩრდილავს ჩვენს წარმოდგენაში სახეს ბრძოლის წყურვილით ანთებულ, თვალებკაშკაშა ახალგაზრდა აკაკისა, რომელიც თავის დროზე სხვა სამოციანელებთან ერთად ჭაბუკური დაუნდობლობით უტევდა „მამებს“, მხიარულად, ენაღვარძლიანად დასცინოდა მათ მეტისმეტად გაბერილ ამპარტავნობას და დახავსებულ კონსერვატიზმს”.

გურამ ასათიანი

***

„ჭეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებაა. იგი თითქო განგებ ამოვიდა საფლავიდან, რომ კიდევ რამდენიმე სურათი დაეხატა: ეს იყო მხატვარი, რომელმაც თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან, მასთან დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიცოცხლის სიტყვის ძალით. აქვს აკაკის ისეთი ლექსები, რომელსაც უნდა ვუცქიროთ მეთორმეტე საუკუნის ქართველი მკითხველის თავლით.

ის ნამდვილი სერვანტესი იყო ხუმრობაში, ნამდვილი ბაირონი მწუხარებაში, ნამდვილი ჰეინე ეროტიზმში და შეუდარებელი მოქალაქე მამულის სიყვარულში”.

გალაკტიონ ტაბიძე

***

„დარჩენილია აკაკის სურათი კუბოში ჩასვენებულის. არსებობს ამგვარივე სურათი ვიქტორ ჰიუგოსი. მსგავსება ამ ორი ნიღბისა ისეთია, რომ გამორჩევა ძნელი ხდება.

უნებური პარალელი იბადება: აკაკი და ჰიუგო.

ყოველ შემთხვევაში აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში.

პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისმა ითავოს”.

გრიგოლ რობაქიძე

სომხური პრესა

„ორიზონი“ -- „ჰორიზონტი“

„დღეს ქართველი ხალხი მიწას აბარებს თავისი საყვარელ პოეტთაგანის აკაკი წერეთლის ცხედარს. შოთა რუსთაველის გენიის შემდეგ აკაკის ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. ჩვენ არ ვიცით მეორე სხვა ქართველი პოეტი, რომელიც აკაკი წერეთლის პოპულარობით სარგებლობდეს.

მუსულმანური პრესა

„იკბალი“ — „იღბალი“

ყველა ქართველი დღეს ტირის თავის სახელოვან პოეტს... აკაკი არის არა მარტო ერთი რომელიმე ხალხის საკუთრება, არამედ იგი არის მთელი კაცობრიობის საკუთრება.

რუსული პრესა

„ზაკავკაზსკაია რეჩ“

და აი ჩვენ ვხედავთ იშვიათ სანახაობას, საოცარ ამბავს, ხალხის დიდი გულშემატკივრის, ხალხთა სიყვარულის ძმობისა და თავისუფლების მომღერლის ცხედრის წინაშე დავიწყებულია ყველა უთანხმოება, ყველა დავა და ქიშპი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს წინაშეა ერთობისა და ძმობის მძლავრი დემონსტრაცია.

უპირველეს ყოვლისა, ამ ეროვნულმა დანაკლისმა მთელი ქართველი ხალხი, ქართველი საზოგადოების ყველა ფენა გააერთიანა და ისეთი სულიერი სიმტკიცე, შეხედულებათა და მისწრაფებათა ერთიანობა გამოამჟღავნა, რომ ქართველ ხალხს ახლა როგორც არასოდეს, თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი არის ერთი განუყოფელი მთლიანობა...

„კიევსკაია მისლი“

საქართველოში ეროვნული გლოვაა. გარდაიცვალა ეროვნული ქართველი პოეტი, მხცოვანი და კეთილშობილი აკაკი წერეთელი.

გოლოვნის პროსპექტზე ნელა მოდიოდა მოხუცი და თითქოს არავის არ უცქეროდა თავის დიდრონი მოელვარე თვალებით, საუცხოო პირისახით, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა მოვერცხლილი, თეთრი წვერი, სპეტაკი როგორც ძილის თოვლი.

მაგრამ გამვლელნი შეხვედრისთანავე ნაბიჯს ნელა სდგამდნენ. ქუდებს იხდიდნენ და მოკრძალებით თავს უკრავდნენ.

განსაკუთრებით კი ბავშვები. ისინი შეჩერდებოდნენ, მაშინვე ქუდს მოიხდიდნენ და სიხარულით გაბრწყინებული სახეებით მიესალმებოდნენ ხოლმე.

ვინ არის ეს კაცი, რომელსაც თქვენ თავს უკრავთ – ვკითხე მე, - როგორ? ნუთუ თქვენ არ იცით? ეს ხომ ჩვენი აკაკია. ჩვენი პოეტი.. წერეთელი.

ძლიერ მასიამოვნა ქართველი ხალხის ასეთმა მოპყრობამ პოეტისადმი.

მე ვამბობ „ხალხის“, რადგან მას ყველა იცნობდა, იგი ყველას მახლობელი იყო, ყველასთვის ძვირფასი: როგორც ნათესავი და საყვარელი.

ამონარიდები წიგნიდან „აკაკის სამრეკლო“ და აკაკი წერეთლის ხუთტომეული.

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათერია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499